

კანონმდებლობის შესაბამისად, საცხოვრებელი სახლით
უზრუნველყოფილ დევნილთა და ეკომიგრანტთა ინტეგრაციის
ხელშეწყობის საგრანტო პროგრამა

განმახორციელებელი უწყება: სსიპ - დევნილთა, ეკომიგრანტთა და
საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო

2021 - 2022 წელი

სარჩევი

შესავალი	3
1. პროგრამის მიზანი	4
2. პროგრამის შედეგი.....	4
3. პროგრამის აღწერა	4
3.1. საგრანტო განაცხადების წარმოდგენა	6
3.2. საგრანტო განაცხადის შემოწმება და განხილვა	9
3.2.1. საკვალიფიკაციო მოთხოვნები	9
3.2.2. შეფასების კრიტერიუმები	10
3.3. გამარჯვებული საგრანტო განაცხადების გამოვლენა	18
3.4. სამოქმედო გეგმა	19
3.5. პროგრამის გავრცელების არეალი.....	20
3.6. პროგრამის ხანგრძლივობა	20
4. პროგრამის ბიუჯეტი	20
5. პროგრამის მონიტორინგი	20

შესავალი

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებული პირები - დევნილები (შემდგომში - დევნილი) და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და გადაადგილებას დაქვემდებარებული ოჯახები (ეკომიგრანტი) მოსახლეობის ერთ-ერთ ყველაზე მოწყვლად ფენას წარმოადგენენ, რომლებიც სახელმწიფოსგან განსაკუთრებულ მიდგომასა და მხარდაჭერას საჭიროებენ. დევნილებისთვის და ეკომიგრანტებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს გრძელვადიან განსახლებას და განსახლების ადგილზე მათ ინტეგრაციას სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესების გზით. საარსებო წყაროები მაშინ არის მდგრადი, როდესაც ისინი მჭიდროდაა დაკავშირებული საცხოვრებელ ადგილთან.

განსახლებულ ადგილებზე, დევნილთა და ეკომიგრანტთა ინტეგრაციის ხელშეწყობის უზრუნველსაყოფად, სსიპ - დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო (შემდგომში - სააგენტო) ახორციელებს „კანონმდებლობის შესაბამისად, საცხოვრებელი სახლით უზრუნველყოფილ დევნილთა და ეკომიგრანტთა ინტეგრაციის ხელშეწყობის საგრანტო პროგრამას“ (შემდგომში - პროგრამა).

წინამდებარე პროგრამა ვრცელდება დევნილებსა და ეკომიგრანტებზე, რომლებიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, უზრუნველყოფილი არიან გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით (შემდგომში - განსახლებული დევნილი და ეკომიგრანტი).

1. პროგრამის მიზანი

პროგრამის ზოგად მიზანს წარმოადგენს ერთი მხრივ, დევნილებისა და ეკომიგრანტების სოციალურ-ეკონომიკური ინტეგრაციის ხელშეწყობა მათ საცხოვრებელ ადგილებზე და მეორე მხრივ, სახელმწიფოზე დამოკიდებულებიდან თვითკმარობაზე გადასვლის უზრუნველყოფა.

პროგრამის კონკრეტული მიზანია, განსახლებული დევნილებისა და ეკომიგრანტების შემოსავლის ზრდა მათი სასოფლო-სამეურნეო და სურსათის პირველად წარმოება-გადამუშავებასთან დაკავშირებული ინიციატივების მხარდაჭერის გზით.

2. პროგრამის შედეგი

პროგრამის განხორციელების შედეგად, მხარდაჭერილი იქნება 100 განსახლებული დევნილი და ეკომიგრანტი ოჯახი.

3. პროგრამის აღწერა

პროგრამის ბიუჯეტის გათვალისწინებით, განსახლებული ეკომიგრანტი და დევნილი ოჯახები მიიღებენ მხარდაჭერას გრანტის სახით სასოფლო-სამეურნეო და სურსათის წარმოება/გადამუშავების მიმართულებით. კერძოდ, სასოფლო-სამეურნეო მიმართულებით, გაიცემა:

1. მოტობლოკი ფრეზით (2 თვლიანი, 4 ტაქტიანი, დიზელზე, სიმძლავრე არანაკლებ 9 ც/ძ. ღირებულება დაახლოებით 3 000 ლარი);
2. სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი, მითითებული თანხის ფარგლებში:

N	ნივთის დასახელება	ღირებულების ფარგლები
1	ორმოს ამოსაღები ბენზინის ძრავაზე (ნერგებისთვის)	100 – 800 ლარი
2	ბალახის სათიბი ბენზინზე ზურგზე მოსაკიდებელი	100 – 800 ლარი
3	ბალახის სათიბი ბენზინზე მხარზე ჩამოსაკიდებელი	100 – 800 ლარი
4	ძალური შემასხურებელი 7 ცხ. ძ 50 მ. მილით	100 – 800 ლარი
5	ძალური შემასხურებელი გადასაადგილებელი ბორბლებით 7 ცხ. ძ 50 მ. მილით	100 – 800 ლარი

6	შემასხურებელი ბენზინზე ზურგზე მოსაკიდებელი	100 – 800 ლარი
7	წყლის ტუმბო ბენზინზე	100 – 800 ლარი
8	წყლის ტუმბო ელექტრო	100 – 800 ლარი
9	წყლის რეზერვუარი ორშრიანი	100 – 800 ლარი
10	წისქვილი ელექტრო	100 – 800 ლარი
11	მეფუტკრეობა სანთლის სადნობი	100 – 800 ლარი
12	მეფუტკრეობა თაფლის საწური 2 ჩარჩოიანი	100 – 800 ლარი
13	მეფუტკრეობა ხის სკა სართულთან ერთად	100 – 800 ლარი
14	სასუქის შემრევი	100 – 800 ლარი
15	სპრინკლერი	100 – 800 ლარი
16	გენერატორი	100 – 800 ლარი
17	მოტობლოკის მისაბმელი (ზომა: 1500*800*300 მმ. საბურავის ზომა: არანაკლებ 4.00-12, აღჭურვილი სამუხრუჭე სისტემით)	1800 ლარის ფარგლებში

განმცხადებელს შეუძლია მოითხოვოს სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი საერთო ჯამში არაუმეტეს 3 000 ლარის ღირებულების ფარგლებში. ამასთან, ერთეულის ღირებულება (გარდა მოტობლოკის მისაბმელისა) უნდა იყოს 100 – 800 ლარის ფარგლებში.

3. მრავალწლიანი კულტურის ნერგები (სახეობა შეზღუდული არ არის. ღირებულება 5 000 ლარის ფარგლებში).

ასევე, გაიცემა სურსათის პირველად წარმოება-გადამუშავებასთან დაკავშირებული ინვენტარი, ღირებულება დაახლოებით 7 500 ლარი.

პროგრამის ფარგლებში არ ფინანსდება:

ა) ერთი და იგივე ოჯახიდან წარმოდგენილი რამდენიმე საგრანტო განაცხადი; ასევე, დევნილის/ეკომიგრანტის მიერ წარმოდგენილი ერთზე მეტი საგრანტო განაცხადი (თუნდაც სხვადასხვა მიმართულებების მიხედვით); განმცხადებელს შეუძლია მხოლოდ ერთი ინიციატივის მოთხოვნა.

ბ) განმცხადებელი, თუ მას ან/და მის ოჯახის წევრს სააგენტოს საარსებო წყაროების პროგრამების ფარგლებში მიღებული აქვს გრანტი/სუბსიდია ნატურის სახით მინიმუმ 2-ჯერ;

გ) ნებისმიერი მოთხოვნა, რომელიც არ გულისხმობს შემოთავაზებული დაფინანსების სახეს;

დ) მეორადი ნივთების შექმნა.

პროგრამის მიზნისთვის, დევნილ და ეკომიგრანტ ოჯახად მიიჩნევა საქართველოს შესაბამისი კანონმდებლობით განსაზღვრული შესაბამისი პირთა წრე. აღნიშნული დადასტურებული უნდა იყოს სააგენტოს მონაცემთა ბაზაში არსებული ჩანაწერით ან სოციალურად დაუცველთა ერთიანი ბაზიდან ამონაწერით ან სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს და/ან სსიპ - იუსტიციის სახლის მიერ გაცემული საინფორმაციო ბარათით ან ადგილობრივი მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი წარმომადგენლის/რწმუნებულის მიერ გაცემული ცნობით. აღნიშნულ დოკუმენტაციაში არსებული ჩანაწერის შეუსაბამობის შემთხვევაში, გათვალისწინებული იქნება მონიტორინგის ანგარიში.

3.1. საგრანტო განაცხადების წარმოდგენა

პროგრამის განხორციელების პროცესში, განისაზღვრება საგრანტო განაცხადების მიღების ვადა, არაუმეტეს ორი თვისა. საჭიროების შემთხვევაში, საგრანტო კომისიის გადაწყვეტილებით, აღნიშნული ვადა შესაძლოა გაგრძელდეს.

პროგრამაში მონაწილეობისათვის, დაინტერესებულმა დევნილმა და ეკომიგრანტმა უნდა შეავსოს პროგრამის ფარგლებში შემუშავებული საგრანტო განაცხადი (**დანართი N1** - საგრანტო განაცხადი N1 - მოტობლოკის ან სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის ან მრავალწლიანი კულტურის ნერგების შექმნის მოთხოვნის შემთხვევაში და **დანართი N2** - საგრანტო განაცხადი N2 - სურსათის პირველადი წარმოება/გადამუშავების მიმართულებით ინვენტარის შექმნის მოთხოვნის შემთხვევაში) და თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად წარმოადგინოს სააგენტოში ან სააგენტოს ტერიტორიულ სამმართველოებში, შემდეგ მისამართებზე:

1. ქ. თბილისი, თამარაშვილის ქ. N15ა;
2. ქ. გორი, სამების ქუჩა N1;
3. ქ. რუსთავი, კოსტავას N20 (მე-4 სართული, რუსთავის მერიის შენობა);
4. ქ. ქუთაისი, ირ. აბაშიძის გამზ. N27
5. ქ. ზუგდიდი, დ. აღმაშენებლის ქ. N106

ან შევსებული და დასკანერებული სახით, თანდართულ დოკუმენტებთან ერთად გამოგზავნოს სააგენტოს ოფიციალურ ელექტრონულ ფოსტაზე: info@idp.gov.ge.

საგრანტო განაცხადს თან უნდა ერთოდეს შემდეგი დოკუმენტაცია:

1. მოტობლოკის შექმნის მოთხოვნის შემთხვევაში:
 - ა) განმცხადებლის პასპორტის ან პირადობის მოწმობის ასლი;
 - ბ) მიწის ნაკვეთის საკუთრების/თანასაკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტი - განაცხადების მიღების ვადაში განახლებული ამონაწერი საჯარო რეესტრიდან.

მიწის ნაკვეთი უნდა იყოს განმცხადებლის ან მისი ოჯახის წევრის საკუთრებაში. იმ შემთხვევაში, თუ მიწის ნაკვეთი არის ოჯახის წევრის საკუთრებაში, მიწის მესაკუთრე განმცხადებლის ოჯახის წევრად უნდა იყოს მითითებული სააგენტოს მონაცემთა ბაზაში ან სოციალურად დაუცველთა მონაცემთა ერთიანი ბაზაში. სხვა შემთხვევაში, განაცხადთან ერთად წარმოდგენილი უნდა იყოს სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს და/ან სსიპ - იუსტიციის სახლის მიერ გაცემული საინფორმაციო ბარათი საცხოვრებელი ადგილის რეგისტრაციის შესახებ ან ადგილობრივი მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი წარმომადგენლის/რწმუნებულის მიერ გაცემული ცნობა საცხოვრებელი ადგილის შესახებ.

2. სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის მოთხოვნის შემთხვევაში:

- ა) განმცხადებლის პასპორტის ან პირადობის მოწმობის ასლი;
- ბ) საგრანტო განაცხადების მიღების ვადაში გაცემული არანაკლებ 1 ინვოისი ყველა იმ ნივთზე (გარდა მოტობლოკის მისაბმელის მოთხოვნისას), რომლის შეძენაც მოთხოვნილია (ინვოისი უნდა მოიცავდეს ნივთის მახასიათებელს, მოდელსა და ღირებულებას. ამასთანავე, ინვოისით გათვალისწინებული ნივთების ერთეულის ღირებულება უნდა იყოს 100 - 800 ლარის ფარგლებში, ხოლო ჯამური ღირებულება არაუმეტეს 3 000 ლარის ოდენობის);
- გ) მიწის ნაკვეთის საკუთრების/თანასაკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტი - განაცხადების მიღების ვადაში განახლებული ამონაწერი საჯარო რეესტრიდან.

3. სურსათის პირველადი წარმოება-გადამუშავების მიმართულებით ინვენტარის შექმნის მოთხოვნის შემთხვევაში:

- ა) განმცხადებლის პასპორტის ან პირადობის მოწმობის ასლი;
- ბ) საგრანტო განაცხადების მიღების ვადაში გაცემული არანაკლებ 1 ინვოისი ყველა იმ ნივთზე, რომლის შეძენაც მოთხოვნილია (ინვოისი უნდა მოიცავდეს ნივთის მახასიათებელს, მოდელსა და ღირებულებას. ამასთანავე, ინვოისით გათვალისწინებული ნივთების ერთეულის ღირებულება უნდა იყოს არანაკლებ 300 ლარის, ხოლო ჯამური ღირებულება - არაუმეტეს 7 500 ლარის. ნაკრების შექმნა დასაშვებია, იმ შემთხვევაში, თუ ნაკრები მოიცავს ქარხნულად შეკრებილ ერთგვაროვან ნივთებს);
- გ) კვალიფიკაციის ან სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი მოთხოვნილი მხარდაჭერის მიმართულების გათვალისწინებით (დიპლომი, სერტიფიკატი, ცნობა სასწავლებლიდან, შრომითი ხელშეკრულება, შრომის წიგნაკი, დამსაქმებლის მიერ გაცემული ცნობა ბლანკიან ფურცელზე ან ნოტარიულად დამტკიცებული ხელმოწერით).

4. მრავალწლიანი კულტურების შექმნის მოთხოვნის შემთხვევაში:

- ა) განმცხადებლის პასპორტის ან პირადობის მოწმობის ასლი;
- ბ) საგრანტო განაცხადების მიღების ვადაში გაცემული არანაკლებ 1 ინვოისი ყველა იმ კულტურაზე, რომლის შეძენაც მოთხოვნილია (ინვოისი უნდა მოიცავდეს კულტურის დასახელებას, ნერგის მახასიათებელს, ღირებულებას. ამასთანავე, კულტურების ჯამური ღირებულება უნდა იყოს არაუმეტეს 5 000 ლარის ოდენობის);

გ) იმ მიწის ნაკვეთის, სადაც დაგეგმილია მრავალწლიანი კულტურების გაშენება, საკუთრების/თანასაკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტი - განაცხადების მიღების ვადაში განახლებული ამონაწერი საჯარო რეესტრიდან.

მიწის ნაკვეთი უნდა იყოს განმცხადებლის ან მისი ოჯახის წევრის საკუთრებაში. იმ შემთხვევაში, თუ მიწის ნაკვეთი არის ოჯახის წევრის საკუთრებაში, მიწის მესაკუთრე განმცხადებლის ოჯახის წევრად უნდა იყოს მითითებული სააგენტოს მონაცემთა ბაზაში ან სოციალურად დაუცველთა მონაცემთა ერთიანი ბაზაში. სხვა შემთხვევაში, განაცხადთან ერთად წარმოდგენილი უნდა იყოს სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს და/ან სსიპ - იუსტიციის სახლის მიერ გაცემული საინფორმაციო ბარათი საცხოვრებელი ადგილის რეგისტრაციის შესახებ ან ადგილობრივი მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი წარმომადგენლის/რწმუნებულის მიერ გაცემული ცნობა საცხოვრებელი ადგილის შესახებ.

განმცხადებელმა დამატებით უნდა წარმოადგინოს მოწყვლადობის დამადასტურებელი შემდეგი დოკუმენტაცია - იმ შემთხვევაში, თუ განმცხადებელი ან/და ოჯახის წევრი არის:

ა) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი - შესაბამისი პირის შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის დამდგენი დოკუმენტი;

ბ) მარჩენალდაკარგული - ცნობა სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოდან იმის მითითებით, რომ ოჯახი მარჩენალდაკარგულია ან ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის მიერ გაცემული შესაბამისი მოწმობა;

გ) მარტოხელა მშობელი - სტატუსის დასადასტურებლად უნდა წარმოადგინოს შვილ(ებ)ის დაბადების მოწმობის ასლ(ებ)ი, თუ მამის მონაცემები არ არის დაფიქსირებული; თუ მამის მონაცემები დაფიქსირებულია შვილ(ებ)ის დაბადების მოწმობაში დედის მითითების საფუძველზე, დაბადების მოწმობის ასლთან ერთად უნდა წარმოადგინოს სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ცნობა/გადაწყვეტილება, მარტოხელა მშობლის სტატუსის დადგენის შესახებ;

დ) ვეტერანი - ვეტერანის მოწმობა.

საგრანტო განაცხადით გათვალისწინებული საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის ან/და საგრანტო განაცხადის შეფასებისთვის, საჭიროების შემთხვევაში მოთხოვნილი იქნება დამატებითი დოკუმენტაციის წარმოდგენა. დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში, განაცხადი დარჩება განუხილველი.

პროგრამის ფარგლებში, შესაძენად მოთხოვნილი ნივთი ხელმისაწვდომი უნდა იყოს საქართველოს მასშტაბით.

3.2. საგრანტო განაცხადის შემოწმება და განხილვა

წარმოდგენილ საგრანტო განაცხადს ამოწმებს სააგენტოს საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის დეპარტამენტი (შემდგომში - დეპარტამენტი) და განიხილავს პროგრამის ფარგლებში შექმნილი საგრანტო კომისია „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს მიერ გრანტის გაცემის წესის“ შესაბამისად.

დეპარტამენტი უზრუნველყოფს წარმოდგენილი საგრანტო განაცხადების შემოწმებას და ადგენს რამდენად შესაბამისია პროგრამის საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან.

დეპარტამენტი უფლებამოსილია, საჭიროების შემთხვევაში, შემოწმების ეტაპზე, განმცხადებელს განუსაზღვროს ვადა არაუმეტეს 10 კალენდარული დღის ოდენობით და მოსთხოვოს მას საგრანტო განაცხადში დაშვებული ტექნიკური ხარვეზის გამოსწორება, სავალდებულოდ წარმოსადგენი ან დამატებითი დოკუმენტაციის წარდგენა ან/და ინფორმაციის დაზუსტება. ამავდროულად, მოთხოვნილი დოკუმენტაცია პირდაპირ უნდა იყოს დაკავშირებული პროგრამის მიზნების განხორციელებასთან. განმცხადებელს უფლება აქვს მიიღოს ინფორმაცია, რა მიზნით ითხოვს დეპარტამენტი დოკუმენტაციის წარდგენას. აღნიშნულის თაობაზე, სააგენტოსა და განმცხადებელს შორის კომუნიკაცია შესაძლებელია როგორც წერილობითი, ისე სატელეფონო და ელექტრონული შეტყობინებით. სატელეფონო შეტყობინების შემთხვევაში, საგრანტო განაცხადის გარეკანზე უნდა გაკეთდეს შესაბამისი მინიშნება შეტყობინების თარიღისა და შინაარსის მითითებით.

დეპარტამენტი იღებს გადაწყვეტილებას განაცხადის განუხილველად დატოვების შესახებ, თუ ის არ აკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს ან განმცხადებელმა განსაზღვრულ ვადაში არ აღმოფხვრა ტექნიკური ხარვეზი ან/და არ დააზუსტა ან/და არ წარმოადგინა მოთხოვნილი დოკუმენტაცია/ინფორმაცია; განმცხადებელმა ნებაყოფლობით უარი განაცხადა საგრანტო კონკურსში მონაწილეობაზე; არსებობს სხვა ობიექტური გარემოება, რის გამოც განაცხადის განხილვას შედეგი არ ექნება.

3.2.1. საკვალიფიკაციო მოთხოვნები

პროგრამის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომელსაც ამოწმებს დეპარტამენტი:

1. საგრანტო განაცხადი წარმოდგენილია დადგენილ ვადაში, ხელმოწერილია, შევსებულია სრულყოფილად და თანდართულია წარმოსადგენი დოკუმენტაცია; მათ შორის, საგრანტო განაცხადის წარმოდგენის შემდეგ მოთხოვნილი დამატებითი დოკუმენტაცია;
2. განმცხადებელი არის სააგენტოს მონაცემთა ბაზის მიხედვით, გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფილი დევნილი ან ეკომიგრანტი;

3. განმცხადებელს/ოჯახის წევრს არ აქვს მიღებული გრანტი/სუბსიდია ნატურის სახით სააგენტოს საარსებო წყაროების პროგრამების ფარგლებში მინიმუმ 2-ჯერ;
4. განმცხადებელს ან მის ოჯახის წევრს საკუთრებაში/თანასაკუთრებაში აქვს მიწის ნაკვეთი არანაკლებ 1 000 კვ.მ. ფართობის (იმ შემთხვევაში, თუ საგრანტო განაცხადით მოთხოვნილია მოტობლიკის ფრეზით ან მრავალწლიანი კულტურების შექმნა);
5. განმცხადებელს ან მის ოჯახის წევრს საკუთრებაში/თანასაკუთრებაში აქვს მიწის ნაკვეთი არანაკლებ 500 კვ.მ. ფართობის (იმ შემთხვევაში, თუ საგრანტო განაცხადით მოთხოვნილია სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის შექმნა);
6. განმცხადებელი საქმიანობას არ ეწევა „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული მეწარმე სუბიექტის ფორმით იმ მიმართულებით, რა მხრივაც ითხოვს მხარდაჭერას. აღნიშნული ინფორმაციის დადგენა ხორციელდება მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრში და სსიპ - შემოსავლების სამსახურის გადამხელთა რეესტრში არსებული ჩანაწერებით;
7. განმცხადებლის ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილი და მიწის ნაკვეთის/საქმიანობის განხორციელების ადგილი უნდა იყოს ერთ მუნიციპალიტეტში;
8. განმცხადებელს აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია ან/და სამუშაო გამოცდილება (იმ შემთხვევაში, თუ განაცხადი წარმოდგენილია სურსათის პირველადი წარმოება/გადამუშავების მიმართულებით);
9. საგრანტო განაცხადით მოთხოვნილი ნივთების ღირებულება, როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯამურად შეესაბამება პროგრამით დადგენილ ზღვრებს;
10. განაცხადი არ ითვალისწინებს ისეთი საქმიანობის მხარდაჭერას, რომელიც პროგრამის ფარგლებში არ ფინანსდება.

3.2.2. შეფასების კრიტერიუმები

შემოწმების ეტაპის წარმატებით გავლის შემდეგ, დეპარტამენტის მიერ პირველადი შეფასების კრიტერიუმებით შეფასებული განაცხადები წარედგინება პროგრამის ფარგლებში შექმნილ საგრანტო კომისიას (შემდგომში - კომისია), რომელიც წარმოდგენილი განაცხადების სიმრავლისა და იმ რაოდენობის გათვალისწინებით, რამდენი გამარჯვებულიც უნდა გამოვლინდეს, ადგენს მინიმალური ქულის ზღვარს თითოეული მიმართულების მიხედვით.

ა) პირველადი შეფასების კრიტერიუმები:

ა.ა) სასოფლო-სამეურნეო მიმართულებით (მოტობლიკის ფრეზით , მრავალწლიანი კულტურების, სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის შექმნის მოთხოვნის შემთხვევაში):

N	კრიტერიუმი	ქულა
1	განმცხადებლის ოჯახის წევრების რაოდენობა (სააგენტოს მონაცემთა ბაზაზე დაყრდნობით)	6 და მეტი წევრი - 1.5 ქულა

		3 – 5 წვერი - 1 ქულა 1-2 წვერი - 0.5 ქულა
2.	განმცხადებელი ან/და მისი ოჯახის წევრი არის: შშმ პირი ან/და სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ქულით 100 001-მდე ან/და მარტოხელა მშობელი ან/და მარჩენალდაკარგული ან/და ვეტერანი ან/და არასრულწლოვანი ან/და პენსიონერი	არის ან აქვს აქედან ერთ-ერთი სტატუსი - 0.5 ქულა აქვს არცერთი სტატუსი - 0 ქულა
3	მიწა და ფაქტობრივი საცხოვრებელი მისამართი (ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილი - სააგენტოს მონაცემთა ბაზის, განაცხადში მითითებული ინფორმაციის გათვალისწინებით. მათ შორის უზუსტობის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება განაცხადში მითითებულ მისამართს)	ერთ სოფელში/ქალაქში - 0.5 ქულა ერთ მუნიციპალიტეტში - 0 ქულა
4	ერთი და იმავე ფაქტობრივ მისამართზე ცხოვრების ხანგრძლივობა (სააგენტოს მონაცემთა ბაზის მიხედვით, განსახლების ადგილის საკუთრებაში გადაცემის თარიღის ან/და საჭიროების შემთხვევაში, ადგილობრივი მუნიციპალიტეტის/გამგებლის დადასტურების გათვალისწინებით)	2 წელზე ნაკლები - 1 ქულა 2 – 5 წელი - 0.5 ქულა 5 წელზე მეტი - 0 ქულა
5	მიწის საკუთრება	ერთპიროვნული მესაკუთრე - 0.5 ქულა თანამესაკუთრე ან ოჯახის წევრის საკუთრება- 0
6	განმცხადებლის ან მისი ოჯახის წევრის მიერ სააგენტოს პროგრამების ფარგლებში მიღებული სარგებელი	მიღებული აქვს იდენტური ნივთი და ითხოვს იგივეს - განმცხადებელმა უნდა დაასაბუთოს იგივე ნივთის საჭიროება. იმ შემთხვევაში, თუ დასაბუთება კომისიამ არ მიიჩნია სარწმუნოდ, მიღებული იქნება გადაწყვეტილება განაცხადი დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ, იგივე

		ნივთის შეძენის მოთხოვნის ნაწილში. არ მიუღია დაფინანსება - 1 ქულა მიღებული აქვს სარგებელი ნატურის სახით (მოთხოვნილისგან განსხვავებული) – 0.5 ქულა
	მაქსიმალური ქულა	5

ა.ბ) სურსათის პირველადი წარმოება-გადამუშავების მიმართულებით:

N	კრიტერიუმი	ქულა
1	განმცხადებლის ოჯახის წევრების რაოდენობა (სააგენტოს მონაცემთა ბაზაზე დაყრდნობით)	6 და მეტი წევრი - 1.5 ქულა 3 – 5 წევრი - 1 ქულა 1-2 წევრი - 0.5 ქულა
2	განმცხადებელი ან/და მისი ოჯახის წევრი არის: შშმ პირი ან/და სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ქულით 100 001-მდე ან/და მარტოხელა მშობელი ან/და მარჩენალდაკარგული ან/და ვეტერანი ან/და არასრულწლოვანი ან/და პენსიონერი	არის ან აქვს აქედან ერთ-ერთი სტატუსი - 0.5 ქულა არ აქვს არცერთი სტატუსი - 0 ქულა
3	საქმიანობის განხორციელების ადგილი და ფაქტობრივი საცხოვრებელი მისამართი (ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილი - სააგენტოს მონაცემთა ბაზის, განაცხადში მითითებული ინფორმაციის გათვალისწინებით. მათ შორის უზუსტობის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება განაცხადში მითითებულ მისამართს)	ერთ სოფელში/ქალაქში - 0.5 ქულა ერთ მუნიციპალიტეტში - 0 ქულა

4	<p>ერთი და იმავე ფაქტობრივ მისამართზე ცხოვრების ხანგრძლივობა</p> <p>(სააგენტოს მონაცემთა ბაზის მიხედვით, განსახლების ადგილის საკუთრებაში გადაცემის თარიღის ან/და საჭიროების შემთხვევაში, ადგილობრივი მუნიციპალიტეტის/გამგებლის დადასტურების გათვალისწინებით,)</p>	<p>2 წელზე ნაკლები - 1 ქულა</p> <p>2 – 5 წელი - 0.5 ქულა</p> <p>5 წელზე მეტი - 0 ქულა</p>
5	<p>საქმიანობისთვის საჭირო ნებართვა/ლიცენზია</p>	<p>საქმიანობა არ საჭიროებს ან განმცხადებელს აქვს საქმიანობის განხორციელებისათვის საჭირო ნებართვა/ლიცენზია - 0.5 ქულა</p> <p>საჭიროებს, მაგრამ განმცხადებელს არ აქვს შესაბამისი ნებართვა/ლიცენზია - 0 ქულა</p>
6	<p>განმცხადებლის ან მისი ოჯახის წევრის მიერ სააგენტოს პროგრამების ფარგლებში მიღებული სარგებელი</p>	<p>მიღებული აქვს იდენტური ნივთი და ითხოვს იგივეს - განმცხადებელმა უნდა დაასაბუთოს იგივე ნივთის საჭიროება. იმ შემთხვევაში, თუ დასაბუთება კომისიამ არ მიიჩნია სარწმუნოდ, მიღებული იქნება გადაწყვეტილება განაცხადი დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ, იგივე ნივთის შეძენის მოთხოვნის ნაწილში.</p> <p>არ მიუღია დაფინანსება - 1 ქულა</p>

		მიღებული აქვს სარგებელი ნატურის სახით (მოთხოვნილისგან განსხვავებული) – 0.5 ქულა
	მაქსიმალური ქულა	5

განაცხადები, რომლებიც მიიღებენ დადგენილ მინიმალურ ქულას ან მასზე მაღალს, დაექვემდებარება მონიტორინგს. ხოლო, განაცხადებზე, რომლებიც ვერ მიიღებენ დადგენილ ქულას, მიღებული იქნება გადაწყვეტილება განაცხადის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ განხორციელებული მონიტორინგის შედეგად, აღმოჩნდა, რომ პირველადი შეფასების კრიტერიუმით შეფასებული გარემოება არ დადასტურდა, მონიტორინგის შედეგის გათვალისწინებით, დაკორექტირდება შეფასების პირველ ეტაპზე მინიჭებული ქულა.

მონიტორინგის განხორციელების შემდეგ, დეპარტამენტი წარმოადგენილ საგრანტო განაცხადებს გადასცემს საგრანტო კომისიას, რომელიც განიხილავს და აფასებს შეფასების კრიტერიუმებით და ავლენს გამარჯვებულებს.

საგრანტო განაცხადი ფასდება განაცხადში მითითებული ინფორმაციისა და მონიტორინგის ანგარიშის გათვალისწინებით. თითოეულ კრიტერიუმს მინიჭებული აქვს შესაბამისი ქულა. კომისიის მიერ ხმათა უმრავლესობით თითოეულ შეფასების კრიტერიუმზე დაიწერება შესაბამისი ქულა. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კომისიის წევრი არ ეთანხმება ხმათა უმრავლესობით გადაწყვეტილ ქულას, აღნიშნულის თაობაზე აისახება ოქმში. ქულათა მაქსიმალური რაოდენობაა 16.

ბ) საგრანტო განაცხადის შეფასების კრიტერიუმები:

N	კრიტერიუმი	განმარტება	ქულა
		საჭიროება	
1	განმცხადებლის მიერ შესაძენად მოთხოვნილი ნივთების საჭიროების განსახორციელებლად	შესაძენად მოთხოვნილი ნივთები საჭიროა საქმიანობის განსახორციელებლად და/ან მისი განვითარებისთვის.	2
		შესაძენად მოთხოვნილი ნივთები მეტნაკლებად საჭიროა საქმიანობის განსახორციელებლად და/ან მისი განვითარებისთვის.	1
		შესაძენად მოთხოვნილი ნივთების გარეშე, შესაძლებელია საქმიანობის წარმართვა. მოცემულ მომენტში არ დგას მათი შექმნის აუცილებლობა.	0

თუ განმცხადებელმა პირველ შეფასების კრიტერიუმში (შესაძენად მოთხოვნილი ნივთების საჭიროება) მიიღო 0 ქულა, კომისია აღარ აგრძელებს განაცხადის შეფასებას და მიიღება გადაწყვეტილება განაცხადის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

გამოცდილება, ცოდნა, უნარი			
2	კომისიის წევრის შეფასებით, განმცხადებლის/ოჯახის გამოცდილება იმ საქმიანობაში, რასაც გეგმავს გრანტის მიღების შემთხვევაში; ცოდნა და უნარი გრანტის მიზნობრივად გამოყენებისა და წარმატებით საქმიანობისთვის	განმცხადებელს/ოჯახს აქვს გამოცდილება იმ საქმიანობაში, რასაც გეგმავს; მინიმუმ ბოლო 1 წელია დაკავებულია ამ საქმიანობით, აქვს შესაბამისი ცოდნა და უნარები გრანტის მიზნობრივად გამოყენებისა და საქმიანობის წარმატებით წარმართვისათვის.	2
		განმცხადებელს/ოჯახს აქვს გამოცდილება იმ საქმიანობაში, რასაც გეგმავს; აქვს შესაბამისი ცოდნა და უნარები გრანტის მიზნობრივად გამოყენებისა და საქმიანობის წარმატებით წარმართვისათვის.	1,5
		განმცხადებელს/ოჯახს არ აქვს გამოცდილება იმ საქმიანობაში, რასაც გეგმავს, თუმცა აქვს შესაბამისი ცოდნა და უნარები გრანტის მიზნობრივად გამოყენების და საქმიანობის წარმართვისათვის.	1
		განმცხადებელს/ოჯახს აქვს გამოცდილება იმ საქმიანობაში, რასაც გეგმავს, თუმცა არ აქვს საკმარისი ცოდნა და უნარი საქმიანობის წარმატებით წარმართვისათვის.	
		განმცხადებელს/ოჯახს არ აქვს გამოცდილება იმ საქმიანობაში, რასაც გეგმავს; არ აქვს შესაბამისი ცოდნა და უნარი გრანტის მიზნობრივად გამოყენებისა და საქმიანობის წარმართვისთვის.	0
მიღებული გრანტის გამოყენება			
3	განმცხადებლის/ოჯახის წევრის ცოდნა/შესაძლებლობა მოთხოვნილი ნივთის მართვის/გამოყენების	უმჯობესად განმცხადებელმაც და მისი ოჯახის მინიმუმ 1-მა წევრმა იცის/შეუძლია მოთხოვნილი გრანტის მართვა/გამოყენება	2
		მხოლოდ განმცხადებელმა იცის/შეუძლია მოთხოვნილი გრანტის მართვა/გამოყენება	1,5
		უმჯობესად განმცხადებელს არ შეუძლია ან მეტნაკლებად შეუძლია, თუმცა ძირითადად, მისი ოჯახის წევრი მართავს მოთხოვნილ გრანტს	1

		საეჭვო ან არ იცის/ვერ შეძლებს განმცხადებელმა ან მისი ოჯახის რომელიმე წევრმა მართოს მოთხოვნილი გრანტი	0
რისკები			
4	განმცხადებლის დამოკიდებულება საქმიანობისას შესაძლო რისკებთან და მათ შემცირების/აღმოფხვრის გზებთან დაკავშირებით	განმცხადებელს გააზრებული აქვს შესაძლო რისკ(ებ)ი; იცის, როგორ მოახდინოს რისკების შემსუბუქება ან/და თავიდან აცილება.	2
		განმცხადებელს გააზრებული აქვს შესაძლო რისკები, თუმცა არ აქვს ნაფიქრი, როგორ მოახდინოს მათი შემსუბუქება ან/და თავიდან აცილება.	1
		განმცხადებელს არ აქვს გააზრებული შესაძლო რისკები. შესაბამისად, არ აქვს ნაფიქრი მათ შემსუბუქებას ან/და თავიდან აცილებაზე.	0
განხორციელებადობა			
5	საგრანტო განაცხადით გათვალისწინებული იდეის რეალურობა, განხორციელებადობა და გრანტის მიზნობრივად გამოყენება	განმცხადებელს კარგად აქვს ჩამოყალიბებული, გააზრებული ის საქმიანობა, რის განხორციელებასაც აპირებს; იდეა რეალურია და მაღალია გრანტის მიზნობრივად გამოყენებისა და იდეის წარმატებით განხორციელების შესაძლებლობა.	2
		განმცხადებელს მეტნაკლებად აქვს გააზრებული ის საქმიანობა, რის განხორციელებასაც აპირებს; იდეა მეტნაკლებად რეალურია და შესაძლოა გრანტის მიზნობრივად გამოყენება და იდეის განხორციელება.	1
		განმცხადებელს ნათლად არ აქვს ჩამოყალიბებული, გააზრებული საქმიანობა/მისი იდეა არარეალურია ან/და დაბალია გრანტის მიზნობრივად გამოყენებისა და იდეის განხორციელების შესაძლებლობა.	0
მდგრადობა			
6	განმცხადებლის საქმიანობის შეფასება, განხორციელების ადგილი, საშუალება; გასაღების ბაზარი;	არსებული ინფორმაციის გათვალისწინებით, საქმიანობა იქნება მდგრადი.	2
		არსებული ინფორმაციის გათვალისწინებით, საქმიანობის მდგრადობა შესაძლებელია.	1

	პოტენციური მომხმარებლები; კონკურენტები და განმცხადებლის უპირატესობა მათთან შედარებით; საქმიანობის გაუმჯობესების/განვითარების შესაძლებლობა და სხვა.	არსებული ინფორმაციის გათვალისწინებით, საქმიანობის მდგრადობას საფრთხე ემუქრება.	0
ინტეგრაცია			
7	განმცხადებლის ინტეგრაცია განსახლების ადგილზე	გრანტის მიღების შემთხვევაში, იდეის განხორციელება ხელს შეუწყობს განსახლების ადგილზე ინტეგრაციას.	2
		გრანტის მიღების შემთხვევაში, იდეის განხორციელებამ შესაძლოა ხელი შეუწყოს განსახლების ადგილზე ინტეგრაციას.	1
		იდეის განხორციელებით, არ იკვეთება განსახლების ადგილზე ინტეგრაცია.	0
ფინანსური ნაწილი			
8	გაუმჯობესებული ფინანსური მდგომარეობა	გრანტის მიღების შემთხვევაში, შრომა შემსუბუქდება და მაღალია ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების შესაძლებლობა	2
		გრანტის მიღების შემთხვევაში, შრომა შემსუბუქდება ან ფინანსური მდგომარეობა გაუმჯობესდება	1
		არ იკვეთება შრომის შემსუბუქება ან/და ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესება	0

გამარჯვებულად გამოვლინდება ყველაზე მაღალი ქულის მქონე განმცხადებლები (ჯამდება პირველადი შეფასების კრიტერიუმებით და წინამდებარე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების კრიტერიუმებით შეფასების შედეგად მიღებული ქულები). თუმცა, გამარჯვებულად ვერ გამოვლინდება განმცხადებელი, რომელიც „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების კრიტერიუმების შეფასების შედეგად მიიღებს 8-ზე დაბალ ქულას. წარმოდგენილი განაცხადების გათვალისწინებით, კომისია უფლებამოსილია დადგენილი მინიმალური ქულის ზღვარი შეცვალოს. გადაწყვეტილების მიღების დროს, მხედველობაში იქნება მიღებული მხარდაჭერისთვის არსებული ფინანსური რესურსი.

3.3. გამარჯვებული საგრანტო განაცხადების გამოვლენა

პროგრამის ფარგლებში, გამარჯვებულად გამოვლინდება ყველაზე მაღალი ქულის მქონე საგრანტო განაცხადები, პროგრამისათვის განკუთვნილი ფინანსური რესურსის ფარგლებში.

კომისია უფლებამოსილია დააკორექტიროს განმცხადებლის მოთხოვნა, თუ მიიჩნევს, რომ მოთხოვნილი ნივთის საჭიროება არ დგას ან/და განმცხადებლის კვალიფიკაცია არ მიიჩნია საკმარისად.

კომისიის მიერ დადებითი და უარყოფითი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, დირექტორი გამოსცემს შესაბამის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რომელიც კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, ეცნობება დაინტერესებულ პირს. ასევე, განმცხადებლებს გამარჯვების შესახებ ეცნობება კომუნიკაციის შესაძლო საშუალებებით.

საჭიროებისამებრ, დეპარტამენტის მოთხოვნის შემთხვევაში, გამარჯვებულად გამოვლენილი ბენეფიციარები შესაბამისი შეტყობინების მიღების შემდეგ, ვალდებული არიან წარუდგინონ დეპარტამენტს 3 ინვოისი საგრანტო კომისიის მიერ დასაფინანსებლად განსაზღვრულ ნივთებზე, მოდელებისა და ღირებულების მითითებით. ინვოის(ებ)ის წარმოდგენლობის შემთხვევაში, დეპარტამენტი უფლებამოსილია საგრანტო კომისიასთან შეთანხმებით, გააუქმოს განმცხადებლის გამარჯვებულად გამოვლენის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება. ამასთანავე, სურსათის პირველადი წარმოება/გადამუშავების მიმართულებით გამარჯვებული ბენეფიციარები, მოთხოვნის შემთხვევაში, ვალდებული არიან წარმოადგინონ სსიპ - სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ გაცემული დოკუმენტი საქმიანობის საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ. აღნიშნული დოკუმენტაციის წარმოდგენლობის შემთხვევაში, გაუქმდება გადაწყვეტილება განმცხადებლის გამარჯვებულად გამოვლენის თაობაზე.

იმ შემთხვევაში, თუ გამარჯვებულად გამოვლენილი ბენეფიციარის მიერ შესაძენად მოთხოვნილი საქონლის/მომსახურების ერთეულის ღირებულება არ აღემატება 1 000 ლარს, მისი შეძენის დაფინანსება განხორციელდება ვაუჩერისა და შესაბამისი სახელშეკრულებო ურთიერთობის საფუძველზე. თითოეულ საქონელზე/მომსახურებაზე გაიცემა თითო ვაუჩერი, მათ შორის ისეთ შემთხვევებშიც, როდესაც ერთი გამარჯვებული განმცხადებლისთვის შესაძენია რამდენიმე საქონელი/მომსახურება, რომლის ერთეულის ღირებულება 1 000 ლარს არ აღემატება (გამონაკლისი შესაძლოა დაშვებული იქნეს თუ ერთი განმცხადებლისთვის შესაძენია რამდენიმე ერთგვაროვანი საქონელი/მომსახურება, რომლთა ჯამური ღირებულება არ აჭარბებს 1 000 ლარს). შეძენის შედეგად, შესაძლებელია თითოეულ ბენეფიციარისთვის შეძენილმა ნივთების ჯამურმა ღირებულებამ გადააჭარბოს თანხის პროგრამით განსაზღვრულ ზღვრებს, თუმცა, აღნიშნულმა გავლენა არ უნდა მოახდინოს პროგრამის ჯამურ ბიუჯეტზე. იმ შემთხვევაში, თუ ბაზარზე ფასების ცვლილების გათვალისწინებით, შესაძენი ნივთების ღირებულება აჭარბებს პროგრამის

ბიუჯეტს, საგრანტო კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე, სააგენტო უფლებამოსილია განიხილოს პროგრამის ბიუჯეტის ცვლილების საკითხი შესაბამისი საბიუჯეტო ასიგნებების არსებობის ფარგლებში.

გამარჯვებული განმცხადებლისთვის მოთხოვნილი საქონლის/მომსახურების, რომლის ერთეულის ღირებულება 1 000 ლარს არ აღემატება, შეძენის მიზნით სააგენტოს მიერ საჯაროდ ცხადდება მომწოდებლის გამოვლენის მიზნით ინტერესების გამოხატვის წინადადებების მიღება და დაინტერესებულ მომწოდებლებთან გაფორმდება შესაბამისი ხელშეკრულება. შერჩეული მომწოდებლისგან საქონლის/მომსახურების, რომლის ერთეულის ღირებულება არ აღემატება 1 000 ლარს, შეძენა განხორციელდება ვაუჩერისა და მასთან დაკავშირებული ხელშეკრულების მეშვეობით.

გამარჯვებულებსა და სააგენტოს შორის ფორმდება საგრანტო ხელშეკრულება. გამარჯვებული ვალდებულია მიღებული ქონება გამოიყენოს პროგრამის მიზნის შესაბამისად საგრანტო ხელშეკრულების ხელმოწერიდან არანაკლებ 2 წლის განმავლობაში.

3.4. სამოქმედო გეგმა

პროგრამის ფარგლებში, საგრანტო განაცხადების მიღების, შემოწმების, განხილვისათვის და შეძენილი ქონების გადაცემისათვის განსაზღვრულია კონკრეტული ვადები.

საქმიანობა	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი	იანვარი	თებერვალი
საგრანტო განაცხადების მიღება	X	X				
საგრანტო განაცხადების შემოწმება	X	X				
დამატებითი ვადა დოკუმენტაციის წარმოსადგენად/ინფორმაციის დასაზუსტებლად	X	X				
საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა/პირველადი შეფასება		X	X			
საველე მონიტორინგი			X			
საგრანტო განაცხადების წარდგენა საგრანტო კომისიისათვის და გამარჯვებული განმცხადებლების გამოვლენა				X	X	

შესყიდვის პროცედურები	X	X
ბენეფიციარებთან საგრანტო ხელშეკრულების გაფორმება და გრანტის გადაცემა		X

3.5. პროგრამის გავრცელების არეალი

პროგრამა ვრცელდება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

3.6. პროგრამის ხანგრძლივობა

პროგრამა ხორციელდება 2021-2022 წლებში.

4. პროგრამის ბიუჯეტი

2022 წლისათვის პროგრამისათვის დადგენილი ბიუჯეტია 450 000 ლარი. დაფინანსება ხორციელდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი შესაბამისი ასიგნებებიდან.

5. პროგრამის მონიტორინგი

პროგრამის ფარგლებში, განხორციელდება როგორც პირველადი, ისე შემდგომი მონიტორინგი 2 წლის განმავლობაში. პირველადი მონიტორინგის მიზანია, დადგინდეს განაცხადით მოთხოვნილი ინვესტიციის საჭიროება, განხორციელებადობა და მდგრადობა. სააგენტო მონიტორინგს განხორციელებს მხოლოდ იმ განმცხადებლებთან, ვინც გადალახავს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. დაფინანსების შემდგომი მონიტორინგის მიზანია, შემოწმდეს პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ხელშეწყობის მიზნობრივად გამოყენების ფაქტი და შეფასდეს გაუმჯობესებული საარსებო მდგომარეობა.